
ბიულეტენი N1

ახალციხე
2015წ.

მომავლის თაობა



www.civics.ge www.Initiatives.ge www.civicsnet.ge

facebook/ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი www.akhaltsikheyouthcenter.wordpress.com

პუბლიკაცია მომზადებული და გამოცემულია ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის მიერ და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

პროგრამის „მომავლის თაობა“ გახსნის ღონისძიება



2014 წლის 3 დეკემბერს, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში სამოქალაქო განათლების პროგრამა „მომავლის თაობა“ საზეიმოდ გაიხსნა. ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორი მარინე სუდაძე მიესალმა შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებს და პროგრამაში მონაწილე სამცხე-ჯავახეთის საჯარო სკოლების წარმომადგენლებს და გააცნო ინფორმაცია პროგრამის შესახებ. რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის მენეჯერმა ქ-ნმა თამარ ფრუიძემ მიულოცა სკოლებს პროგრამაში ჩართვა და ისაუბრა

პროგრამის მნიშვნელობაზე და რესურსებზე. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა ქ-ნმა ნათია ჩალათაშვილმა აღინიშნა სამოქალაქო განათლების სწავლების მნიშვნელობა სკოლებში. სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის ფორუმის მიერ შეთავაზებული რესურსის შესახებ ისაუბრა სამოქალაქო განათლების ფორუმის რეგიონალური კოორდინატორმა ქ-ნი ნინო ნადირაძემ. ესწრებოდნენ ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი დიანა ინასარიძე, ახალქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი მაია მაცუკატოვა, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის, კულტურის და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების სპეციალისტი გელა ძამუნაშვილი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგებელი გაგიკ ღარსლიანი, ა/ო ნინოწმინდის ახალგაზრდული ცენტრის „ფაროსი“ს წარმომადგენლები, ნარინე გინოსიან, თაქუი ვართანიან, თინა აკოფიანი. ღონისძიება გაშუქდა ნინოწმინდის ადგილობრივი ტელეკომპანია „ფარვანა“, ახალქალაქის „ATV12“, ინტერნეტ საინფორმაციო სააგენტო ჯავახეთი, რეგიონალური ინტერნეტ-გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“ მიერ, ახალციხის ტელეკომპანია („იმპერია“) მე-9 არხის ინტერნეტ გაშუქება.



დებატები აივ-ინფეციის თემაზე



16 თებერვალს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მე-10 კლასის ლიდერების ინიციატივით დებატები გაიმართა თემაზე „რამდენად საშიშია აივ-ინფექცია“ რომელსაც მოხეს საჯარო სკოლის პედაგოგები და სხვადასხვა კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ. ორ ჯგუფად დაყოფილმა მოსწავლეებმა გამოთქვეს მოსაზრებები თუ რამდენად ფიქრობენ მოზარდები საკუთარი ცხოვრებისა და

ჯანმრთელობის საკითხებზე, როგორი წესით უნდა იცხოვრონ, რომ თავი დაიცვან აივ-ინფეციისგან. ნაჩვენები იყო ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის მიერ მოწოდებული სპექტაკლის ვიდეო ვერსია „ცხოვრება გრძელდება“, რომელიც 2013 წლის 19 მაისს სამოქალაქო განათლების სასკოლო სამოქალაქო კლუბების მიერ იყო დადგმული.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა სკოლის ლიდერებს სწორად დაეფიქსირებინათ თავიანთი დამოკიდებულება აივ დადებითების მიმართ, ასევე მათ თანატოლებს და საზოგადოების სხვა წევრებს მიეღოთ ინფორმაცია დაავადების შესახებ და შეცვლილიყო მათი უარყოფითი დამოკიდებულება დაავადებულთა მიმართ, რაც ვთვლით რომ ნაკლებად ინფორმირებულობით არის გამოწვეული.

მნიშვნელოვანია, რომ სწორედ სკოლის ასაკში შედგა საუბარი ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, რადგან მოხის საჯარო სკოლა ნაკლებად არის ჩართული ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრების მხრივ, თავიდანვე უნდა მოხდეს მოზარდ თაობაში სწორი გზის მითითება. - აღნიშნავს მძოხეს საჯარო სკოლის დირექტორი თემურ ბერიძე.

ახალციხის სასკოლო სამოქალაქო კლუბის წევრები შეხვდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას

26 დეკემბერს სამოქალაქო კლუბის წევრები ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბ-ნ ზაზა მელიქიძეს, საკრებულოს თავმჯდომარეს ბ-ნ დავით ლომიძეს და მუნიციპალიტეტის პირველ პირებს შეხვდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურის, მუშაობის სტილის და გაწერილი სამუშაოების გაცნობის მიზნით. ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა ამომწურავი პასუხები გასცეს კლუბის წევრებს, რომლებმაც მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო კითხვები დასვეს.



შეხვედრაზე მოსწავლეებისთვის პრიორიტეტული პრობლემების განხილვის შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ სოფელ მუსხში სამოქალაქო კლუბის სამუშაო ოთახის კეთილმოწყობის სამუშაოებში ჩაერთვება ადგილობრივი თვითმმართველობა, ასევე, სოფელ ფერსაში არსებული ბიბლიოთეკის განახლებასა და კეთილმოწყობაში შეიტანს წვლილს. რაც შეეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობის ხარჯს, ადგილობრივი თვითმმართველობა აუცილებლად უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის მგზავრობის ხარჯების 50 % დაფარვას.



შეხვედრა მეტად ნაყოფიერი და საინტერესო აღმოჩნდა. შეხვედრაზე დასმული საკითხები აქტუალური იყო, როგორც სამოქალაქო კლუბის წევრებისთვის, ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებისთვისაც. სამოქალაქო კლუბის წევრები გააგრძელებენ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან სკოლაში და თემში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად.

ვიზიტი ადგილობრივი შსს განყოფილებაში და მსჯელობა თემაზე „ოჯახური ძალადობა“



მოსწავლეთა საერთო სურვილიდან გამომდინარე, ასპინ ძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის მოსწავლეები, ადგილობრივი შსს სამსახურს ესტუმრნენ.

მოსწავლეები სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე ხშირად საუბრობდნენ ოჯახური ძალადობაზე და სხვადასხვა ისტორიებს ყვებოდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მეტად აქტუალური პრობლემაა, რაზეც კომპეტენტური პირებისგან სურდათ ინფორმაციის მიღება. სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხის ირგვლივ სასაუბროდ ადგილობრივ შსს სამსახურს ესტუმრნენ.

შსს თანამშრომლებსა და მოსწავლეებთან ერთად გაიმართა მსჯელობა ძალადობის ფორმებზე, ვიზიტის დროს აღინიშნა ისიც, რომ ოჯახურმა ძალადობამ ბავშვის ფსიქოლოგიაზე შეიძლება უარყოფითი იმოქმედოს, ხშირად ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ზუსტად არასრულწლოვნები ხდებიან.

ვიზიტის დროს მოსწავლეები გაეცნენ შსს სტრუქტურას და კომპეტენტური პირებისგან შეიტყვეს ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაცია. ადგილობრივი შსს თანამშრომლები სიტყვით გამოვიდნენ, აუხსნეს ჩვენს მოსწავლეებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ვის უნდა მიმართონ რომ ეს პრობლემა მოგვარდეს დროულად.

ინტერვიუ კერძო სკოლა „მზექას“ სკოლის დირექტორთან ბელა კაპანაძესთან



19 დეკემბერს პროგრამა მომავლის თაობის ფარგლებში ახალციხის კერძო სკოლა „მზექას“-ს მეათე კლასის მოსწავლემ დალი ტაბატაძემ ინტერვიუ ჩაწერა ამავე სკოლის დირექტორთან ბელა კაპანაძესთან. ინტერვიუს დასაწყისში დალი ტაბატაძემ დირექტორს გააცნო პროგრამა „მომავლის თაობა“-ს ძირითადი მიმართულება. ინტერვიუ შეეხებოდა სამოქალაქო განათლებას და იმას თუ რაში ეხმარება მოსწავლეებს სამოქალაქო განათლების სწავლება და როგორ უნდა იაქტიურონ, რათა კარგად შეიციონ ცხოვრება და გააუმჯობესონ ქვეყნის მდგომარეობა. ქალბატონმა ბელამ ინტერვიუში აღნიშნა, რომ სამოქალაქო დონის ამაღლებას ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობა სკოლის საქმიანობაში და თვითმმართველობის საკითხებში.

ინტერვიუ ახალციხის კერძო სკოლა „მზექას“ სასწავლო ნაწილთან მზია ლობჯანიძესთან



2014 წლის 19 დეკემბერს, პროგრამა მომავლის თაობის ფარგლებში, კერძოდ სოციალური მედიის ფარგლებში ახალციხის კერძო სკოლის „მზექას“ მეცხრე კლასის მოსწავლემ მარიამ გელაშვილმა ინტერვიუ ჩაწერა ამავე სკოლის სასწავლო ნაწილთან მზია ლობჯანიძესთან. როგორც ვიცით საქართველოში მიმდინარეობდა კვირეული ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ამიტომ ინტერვიუ შეეხებოდა ძალადობას როგორც საუკუნის პირველ პრობლემას. ქალბატონმა მზია ლობჯანიძემ ღრმად და ამომწურავად ისაუბრა ძალადობაზე და მის ფორმებზე. ასევე მოსწავლეებს გააცნო კვლევების მიერ დადასტურებული ფაქტები. აღინიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთში ჩატარდა გამოკვლევები ძალადობის შესახებ და გამოკითხული მამაკაცების 60%-მა აღიარა ძალადობა ქალზე.

სოციალური მედიის ორდღიანი ტრენინგი სამცხე-ჯავახეთში

24 და 25 იანვარს ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრში პროგრამა „მომავლის თაობა“ ფარგლებში ჩართული პარტნიორი სკოლების მოსწავლეებისათვის ჩატარდა სოციალური მედიის ორდღიანი ტრენინგი.



მოსწავლეები გაეცნენ სოციალური მედიის გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკას და სამოქალაქო ჩართულობისთვის სოციალური მედიის გამოყენების საშუალებებს. ასევე ისწავლეს ბლოგებზე მუშაობა და YouTube-ის გამოყენება.

სოციალური მედიის ტრენინგს დაესწრო სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის წარმატებული ბლოგერი ანა ხუციშვილი, რომელმაც მოსწავლეებს გაუზიარა თავისი გამოცდილება და მისცა რჩევები თუ როგორ დაწერონ ეფექტური პოსტი ბლოგზე რათა დააინტერესონ მკითხველი.

"სოციალური მედიის ტრენინგი ძალიან მომეწონა, ვისწავლე ბლოგზე მუშაობა, მომავალში ვგეგმავ სხვადასხვა აქტივობების გაკეთებას"-აღნიშნა ახალციხის დამოუკიდებელი სკოლა მზექას მოსწავლემ მარი გელაშვილმა.

სოციალური მედიის ტრენინგი ხელს უწყობს მოსწავლეებმა ისწავლონ პრობლემის მოგვარება სოციალური მედიის საშუალებების დახმარებით.



ონლაინ კონფერენციის სტუმრები - აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები



26 თებერვალს, თბილისში, განათლების მულტიმედია ცენტრში, გაიმართა ონლაინ კონფერენცია სამოქალაქო განათლების თემატიკაზე. კონფერენციის სტუმრები იყვნენ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) წარმომადგენლები: ქ-ნი მონიკა გორზელანსკა - პროგრამის ოფიცერი და ქ-ნი შამენა გალი - სოფლისმეურნეობის ოფიცერი.



ონლაინ კონფერენციის განმავლობაში ქ-ნი შამენა და ქ-ნი მონიკა პასუხობდნენ აუდიტორიაში მყოფი თბილისის სასკოლო სამოქალაქო კლუბების წევრების და SKYPE-ის მეშვეობით მიღებულ საქართველოს 11 რეგიონის მოსწავლეების შეკითხვებს. სტუმრებმა აგრეთვე, მოსწავლეებს საკუთარი მოხალისეობრივი საქმიანობის გამოცდილება გაუზიარეს. მოსწავლეების მიერ დასმული შეკითხვები ეხებოდა აქტიური მოქალაქის ჩამოყალიბების და მოსწავლეთა ჩართულობის მნიშვნელობას დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პროცესში. მოსწავლეები ასევე, დაინტერესდნენ არსებობს თუ არა მათი ქვეყნების სკოლებში სამოქალაქო კლუბები და როგორია მათში მოსწავლეთა ჩართულობა, როგორია გენდერული თანასწორობა, არის თუ არა პოპულარული და არაპოპულარული პროფესიები მათ ქვეყნებში და როგორ ზეგავლენას ახდენს ეს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე. სულ კონფერენციაში 180-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

სოციალური მედიის ტრენინგები



პროგრამის ფარგლებში სოციალური მედიის ტრენინგი ჩატარდათ სოფელ ეშტიის #1 საჯარო, ბორჯომის და ახალციხის კერძო სკოლების მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეებს. სოციალური მედიის ორდღიანი ტრენინგის მონაწილეები ანუ თანატოლგანმანათლებლები ტრენინგზე მოსწავლეებს ეხმარებოდნენ ბლოგების შექმნაში და ასწავლიდნენ მასზე მუშაობას. ტრენინგის მსვლელობისას მოსწავლეები



გაეცნენ სოციალური მედიის საშუალებებს, ისწავლეს ბლოგის შექმნა და მასზე მუშაობა. პოპულარიზაცია გაეწია პორტალს



civics.ge- ს. სადაც ბლოგერებმა შეარჩიეს სასურველი ნომინაციები: ახალგაზრდა ომბუდსმენი, ახალგაზრდა მოხალისე, ბუნების დამცველი, ახალგაზრდა განმანათლებელი, მოქალაქე ჟურნალისტი და ჯანსაღი ცხოვრების ადვოკატი.

სოციალური მედიის ტრენინგი ხელს უწყობს მოსწავლეებმა ისწავლონ პრობლემის მოგვარება სოციალური მედიის საშუალებების დახმარებით.

ბლოგების კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოება

ბლოგების კონკურსი 2015 წლის თებერვალში გამოცხადდა და მასში აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებიდან 110-მა IX-X კლასელმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. აქედან ჟიურიმ 21 გამარჯვებული მოსწავლე გამოავლინა, რომლებმაც 6 სხვადასხვა თემატურ ნომინაციაში I, II და III ადგილები გადაინაწილეს. ექვს ნომინაციაში წარმოდგენილი ბლოგები მოიცავდა შემდეგ თემებს:



ახალგაზრდა მოხალისე, ახალგაზრდა ომბუდსმენი, ბუნების დამცველი, მოქალაქე ჟურნალისტი, ჯანსაღი ცხოვრების ადვოკატი და ახალგაზრდა განმანათლებელი.

პირველ და მეორე ადგილზე გასულ კონკურსანტებს სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები ჟიურის საპატიო წევრებმა გადასცეს. ჟიურის წარმომადგენლები: ნინო ერემაშვილი, სამოქალაქო განათლების ექსპერტი; ნატა სულთანაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; მაია ქობალია, „ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“; შალვა მეკრავიშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ირაკლი კუცია, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები და თიკო ნაჭყებია, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

ბლოგების კონკურსის სხვადასხვა თემატურ ნომინაციებში პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს მოსწავლეებმა: ცოტნე ვანიშვილი, მარიამ ზარიძემ, კარლო ხუციშვილი, საბა ქოსაშვილი, თამარ ქურდაძემ, თინათინ გელაშვილი, ლალი უჩიძემ, ლუკა ბაკუზანოვმა, საბა ბექაურმა, თეა უჩიძემ, მერაბ წიკლაურმა და ქრისტინე ინასარიძემ.

ინფორმაციული შეხვედრა საკლასო პროექტების შესახებ

მოსწავლეების საკლასო პროექტებში მაქსიმალურად ჩართვის მიზნით წინასწარ მიეწოდათ ინფორმაცია პროგრამაში ჩართულ სკოლებს. ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებმა



გააცნეს ინფორმაციას, თუ რას გულისხმობს საკლასო პროექტები და რა სახის პროექტებია ეფექტური სკოლებისათვის. შემდეგში კი, მონიტორინგი გაუწიეს თითოეული სკოლის მუშაობას ამ მიმართულებით. მოსწავლეებს და მასწავლებლებს მიეწოდათ ინფორმაცია თუ როგორ ითანამშრომლონ სხვადასხვა სტრუქტურებთან, როგორცაა: სკოლის ადმინისტრაცია, ადგილობრივი თემის, ბიზნესის, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები. უზრუნველყოფს

დააკმაყოფილოს აღნიშნულ ვარიანტში ჩართული მოსწავლეების საჭიროებები და უზრუნველყოს პროექტების ლოჯისტიკური მხარდაჭერა.

ღია გაკვეთილი თემაზე: "ტრეფიკინგი"

20 მაისს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰემეტის №2 სკოლაში სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ლალაზარ არიანმა ჩაატარა ღია გაკვეთილი თემაზე: "ტრეფიკინგი". აღნიშნულ გაკვეთილს ესწრებოდნენ პარტნიორი სკოლების მასწავლებელი, ასევე რეგიონალური სასწავლო ცენტრის კოორდინატორი ელმირა ქსპოიანი და ახალციხის ახალგაზრდული ცენტრიდან სამოქალაქო განათლების საგნის მონიტორი თამარ ჩაფიჩაძე, რომლებიც აწვდიდნენ გაკვეთილის ჩატარების მეთოდოლოგიის შესახებ კონკრეტულ რჩევებს.



„ეთანამშრომლობთ შედეგისათვის“

ნაქალაქევის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ითანამშრომლეს ასპინძის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურთან. მათ გადასცეს ნაგვის უნრნა სკოლის ეზოს ტერიტორიაზე დასადგმელად.

10 კლასის მოსწავლეებმა სკვერის გასალამაზებლად თავად გააკეთეს საყვავილეები, რომლებიც განათავსეს სკვერის ტერიტორიაზე.

სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, სამოქალაქო



განათლების პედაგოგთან ერთად დაგეგმეს და განახორციელეს სხვადასხვა აქტივობები:

1. ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრა, რომელთა თანამშრომლობის შედეგად მოსწავლეებს გადაეცათ ნაგვის ურნა.
2. გენდერულ თანასწორობაზე ტრენინგი
3. ღონისძიება არა ძალადობას.
4. თამბაქოსა და ალკოჰოლის წინააღმდეგ ბრძოლა.
5. ტრეფიკინგის წინააღმდეგ აქტივობა.
6. ვებრძოლოთ აივ- ინფექციას.



მინი კონფერენცია " ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის " შესახებ



დაბა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაქალაქევის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ნანა მალრაძემ მე-10 კლასის მოსწავლეებთან ერთად განახორციელა აქტივობა, რომელიც ეხებოდა "ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის გაცნობას", დამატებით სახელმძღვანელოდ გამოიყენა "ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში". მოსწავლეებმა შეიმუშავეს თემები, სადაც განხილული ჰქონდათ ადამიანის უფლებები და მათ გარშემო აღნიშნული უფლებების დარღვევები, ასევე რამდენიმე მოსწავლეს

თემაში განხილული ჰქონდა გენდერული თანასწორობის დარღვევაც.

საქველმოქმედო აქცია „მადლი“

თემში არსებული დაბალი სოციალურ ფონზე 2015 წლის 17 თებერვალს ჰემტის მე-10 კლასის ინიციატივით მოეწყო საქველმოქმედო აქცია სახელწოდებით „მადლი“ , რაც გულისხმობდა სოფელ ჰემტის მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას.

„პირველ ეტაპზე მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავეთ გეგმა, მე-10 კლასის მოსწავლეებმა სოფელში დამოუკიდებლად მოიძიეს პოტენციური მხარდამჭერები, პურის

საცხობი, მაღაზიები, რომლებმაც ითანამშრომლეს მოსწავლეებთან და სოციალურად დაუცველებსათვის სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმი და სურსათი შეაგროვეს.“ - აღნიშნა სამოქალაქო განათლების პედაგოგმა სვეტლანა გრაბსკაიამ.



აღნიშნული საკლასო ღონისძიებით მე-10 კლასის მოსწავლეები სოფელ ჰეშტიში მცხოვრებ 7 ოჯახს დაეხმარნენ სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმი და სურსათი გადასცეს.

„დისკრიმინაცია და თანასწორობა“



ახალგაზრდული ცენტრის ტრენერმა თამარ ჩაფიჩაძემ პროგრამაში ჩართული პარტნიორი სკოლების მოსწავლეებისთვის და მოსწავლეებისათვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე: „დისკრიმინაცია და თანასწორობა“, ტრინინგზე მონაწილეები გაეცნენ დისკრიმინაციის გამომწვევ მიზეზებს და მისი დაძლევის საშუალებებს.

განიხილეს ტოლერანტული და არატოლერანტული ქცევის მაგალითები, შეასრულეს სავარჯიშოები. შექმნეს პლაკატი



დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით.

ტრენინგზე მიღებული ცოდნის შემდეგ მოსწავლეებმა დაამზადეს საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები და მოაწყვეს ნახატების გამოფენა თემის ირგვლივ.

ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე „თავისუფლება“

2 მარტს ჰეშტიის N2 საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების პედაგოგის ლალაზარ არიანის ხელშეწყობით და მე-10 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით ინტეგრირებული გაკვეთილი „თავისუფლება“ ჩატარდა, სადაც მე-10 კლასის მოსწავლეებმა მე-9 კლასის მოსწავლეებთან ერთად მოამზადეს კედლის გაზეთები თემებზე: ადამიანი კანონის გარეშე, ადამიანის უფლებებთან კონვენცია, ადამიანი და არჩევნები, მე-17 მუხლის აღწერა, ჩემი მოვალეობები და ჩემი უფლებები. „მე-10 კლასის მოსწავლეებმა მოიძიეს მასალები და შეიმუშავეს კედლის გაზეთები, ასევე სლაიდები ადამიანის უფლებების შესახებ. ღონისძიება საკმაოდ დროული და აქტუალური აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის. ყველა ინფორმაცია, რაც წარმოდგენილი იყო მოსწავლეებმა თავად მოიძიეს. - აღნიშნა ჰეშტიის N2 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ლალაზარ არიანმა. კარგია, როდესაც ჩვენ თავად ვართ ღონისძიების წამყვანები და ვქმნით ნამუშევრებს, ვცნობით და ვსაუბრობთ ჩვენი და ზოგადად ადამიანის უფლებების შესახებ. - აღნიშნა ღონისძიების მონაწილე მე-10 კლასის მოსწავლემ.



“განვდევნოთ ქართული ენიდან ბარბარიზმები”

თანამშრომლობა ადგილობრივი თვითმმართველობასთან და ტელევიზიასთან



“განვდევნოთ ქართული ენიდან ბარბარიზმები” – “მომავლის თობის” აქცია სამოქალაქო განათლების პროგრამა “მომავლის თობა”-ს ფარგლებში ახალციხის კერძო სკოლა შპს ხერხეში “მზექა”-ს მოსწავლეები შეუერთდნენ აქციას : “განვდევნოთ ქართული ენიდან ბარბარიზმები”. მოსწავლეთა მიერ მომზადებულ ვიდეო რგოლში ახალციხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წევრები მონაწილეობენ.

2015 წლის 25 მარტს ადგილობრივი ტელეკომპანია მე-9 არხის

დირექტორთან მათი იველაშვილთან თანამშრომლობით მოსწავლეთა მიერ მომზადებული ვიდეო რგოლები, უსასყიდლოდ განთავსდა ტელევიზიის ოფიციალურ გვერზე.

"პირველი ნაბიჯები"

2015 წლის თებერვლიდან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰეშტიის N1 საჯარო სკოლაში სასკოლო გაზეთი "პირველი ნაბიჯები" დაარსდა. ჰეშტიის N1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის და ამავე სკოლის დირექტორის ბერნიკ ჰოვსეფიანის ხელშეწყობით, მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით სოხურ და ქართულ ორენოვან სასკოლო გაზეთს უშვებენ. პირველ ეტაპზე მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარდა გაკვეთილი სასკოლო გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებით, სარედაქციო ჯგუფი დაიყო 5-ად, თითოეული ჯგუფმა აირჩია მიმართულება; I ჯგუფია "მხატვრები"-ისინი გაზეთის მხატვრულ მხარეზე ზრუნავენ, II "ფოტოგრაფებს" სურათების გადაღება და დამზადება ევალებათ, III ჯგუფს "ისტორიკოსები" ჰქვიათ-ისინი სხვადასხვა საინტერესო ნივთების ისტორიებს მოამზადებენ, IV-"ჟურნალისტები" ინტერვიუებს აიღებენ სკოლის პოპულარული მოსწავლეებისაგან, V "ცნობისმოყვარენი" ამზადებენ სტატიებს საგაზეთო რუბრიკებისათვის. ყველა ჯგუფი ასრულებს სამუშაოს, ხდება ნამუშევრების პრეზენტაცია მოსწავლეები აარჩევენ საუკეთესო წერილებს, ინტერვიუებს, ისტორიებს, სურათებს ბოლო ეტაპი არის მასალების ფორმატის ფურცელზე გადატანა და ამობეჭვდა. ასევე მომავალში შექმნიან ბლოგს, სადაც განათავსებენ თავიანთ გაზეთს.



2015 წლის 17 მარტს ჰეშტიის N1 საჯარო სკოლაში სასკოლო გაზეთი "პირველი ნაბიჯების" პრეზენტაცია გაიმართა, სადაც ნინოწმინდის რესურს ცენტრის მთავარი სპეციალისტი ნათია ჩალათაშვილი, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები, სკოლის ადმინისტრაცია და მოსწავლეთა მშობლები ესწრებოდნენ.

„გაზეთზე მუშაობის პერიოდში მოსწავლეებს წინასწარ ჩავვიტარდა გაკვეთილი, სადაც ჯგუფურ მუშაობა ვისწავლეთ, ვამზადებდით ნამუშევრების პრეზენტაციებს, ინტერნეტში ვიძიებდით საჭირო მასალებს. გავიგეთ მარტივი კორესპოდენცია, ინტერვიუ, დიალოგი, შეთხზა და მცირე მოცულობის თხრობითი ტექსტი. საბოლოოდ, გამოსაქვეყნებლად სკოლის დირექციამ ტექნიკური რესურსებით დაგვეხმარა.“ - აღნიშნავს მოსწავლე.

ერთ-ერთი კარგი პრაქტიკა, რაც დღევანდელ სკოლებში არსებობს ეს არის სასკოლო გაზეთი, რომელსაც მოსწავლეები აკეთებენ და შემდეგ სკოლაში ავრცელებენ, როგორც წესი მსგავსი გაზეთი რაიმე თემას ეძღვნება მაგ. ეკოლოგიას, ტრეფიკინგს და ასე შემდეგ. ეს მართლაც არის სწავლების კარგი საშუალება, რადგან მოსწავლემ თვითონ უნდა მოიფიქროს დაზიანი, მოიძიოს ინფორმაცია, ააწყოს და გააფორმოს ფორმატი, ამიტომ მისი შექმნის პროცესში მოსწავლე ივითარებს ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორც არის წარმოდგენის უნარი, საჭირო ინფორმაციის მოძიების და ანალიზის უნარი. ვითანამშრომლე ჩვენი სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან, მონაწილეობა მივიღე საკლასო გაზეთი „პირველი ნაბიჯები“-ს გამოშვებაში. მოსწავლეებს გავუწიეთ კონსულტაცია, დავუთმე საკანცელარიო და ტექნიკური რესურსი, რაც გაზეთის გამოსაშვებად იყო საჭირო. მიმაჩნია, რომ მსგავსი სახის თანამშრომლობა აუცილებელია და მზად ვარ მომავალშიც ვითანამშრომლო და საკლასო ღონისძიებებში აქტიურად ჩავერთო.- ბერნიკ ჰოვსეფიან ჰეშტიის N1 საჯარო სკოლის დირექტორი.

ჟურნალისტის მიმართულებით შექმნილი ცოდნა და მიღებული ინფორმაცია მოსწავლეებს უფრო დიდი ხნის მანძილზე დაამახსოვრებთ. აღსანიშნავია, რომ გაზეთს საქველმოქმედო ფუნქცია აქვს, "პირველი ნაბიჯები" ყოველ თვიურად გამოვა, რომელსაც მოსწავლეები გაყიდნიან და სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს დაეხმარებიან. გაზეთი ორენოვანია (სომხურ-ქართულ ენოვანია), ბევრი საინტერესო და უცნობი ფაქტებია ჩადებული, რომლებიც სკოლის სხვა მოსწავლეებიც დაინტერესდებიან.

“ჩვენი სკოლა და გარემო”



19 მარტს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა კონდურის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა გარემოსდაცვითი ღონისძიება მოაწყვეს, რაშიც ატიურად მონაწილეობდა, როგორც სკოლის ადმინისტრაცია ასევე, სოფლის მოსახლეობა. დასუფთავების აქციაში მონაწილეობდა სკოლის დასუფთავების მუშაკები, სკოლის დირექცია და სოფლის მოსახლეობა. ღონისძიების მიზანი იყო, სისუფთავის შეყვარება, ბუნების მოვლა და დაცვა, ასევე სისუფთავის მნიშვნელობის გაგება. „მოსწავლეებმა გაგვაცნეს დასუფთავების აქციის

შესახებ ინფორმაცია და დათქვეს დღე, ჩვენ ჩვენი სამეურნეო იარაღებით და დასუფთავებისათვის აჭირო ინვენტარით შევუერთდით ახალგაზრდების ინიციატივას.“ - აღნიშნა სოფელ პატარა კონდურის მკვიდრმა ნაზარეტიან ალუნიკმა. მოსწავლეთა ინიციატივით დასუფთავდა სოფელი პატარა კონდურას ცენტრი, სკოლის ეზოს მიმდებარე ტერიტორია, რაც ზედმეტი ნარჩენებისგან და ქარის მიერ მოტანილი ნაგვისგან გასუფთავებას გულისხმობდა.

პროექტი „ჩვენ ერთად შევძლებთ“ სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ პარტნიორი საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ



2015 წლის 3 მაისს ახალციხის N6 საჯარო სკოლის World Vision-ის კლუბი „ალფა“ წევრებმა, რომელიც სამოქალაქო განათლების პროგრამის ბაზაზე ჩამოყალიბდა პროექტი „ჩვენ ერთად შევძლებთ“ გფარგლებში, ქალაქ ახალციხეში არსებული ეგრეთ წოდებულ "რაბათის ტყის" მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია გამართეს. აღნიშნულ აქციაში სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ პარტნიორი საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

„პირველ ეტაპზე ჩვენმა საინიციატივო ჯგუფმა მოსახლეობას სისუფთავის დაცვისკენ მოუწოდა. ახალგაზრდების ინიციატივას პარტნიორობა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ გაგვიწია.“- სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის მონაწილე, კურსდამთავრებულის ახალციხის N6 საჯარო სკოლის მოსწავლე ვერიკო ქაფიანიძე.

პროექტში ჩართულმა ახალგაზრდებმა მოიწვიეს სამცხე-ჯავახეთის რეგიონის, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, აქციაში სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ პარტნიორი დამოუკიდებელი სკოლა მზექას სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებიც აქტიურად ჩერთვნენ, რომლებმაც ტყე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დაასუფთავეს, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით ურნები დადგეს.

„ჩვენ გვახსოვს 9 აპრილი“

9 აპრილს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის N4 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით ქალაქ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში „ჩვენ



გვახსოვს 9 აპრილი“ სახელწოდებით ღონისძიება მოეწყო. მოსწავლეებმა ისაუბრეს 1989 წლის 9 აპრილს მომხდარ მიტინგზე და ტრაგედიაზე.

„აღნიშნულ თარიღს ხშირად ტრიუმფად და ტრაგედიად მოიხსენიებენ, რადგან მასშტაბურმა სახალხო გამოსვლამ და განვითარებულმა მოვლენებმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. საქართველოს დამოუკიდებლობა ორი წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს იქნა აღდგენილი.“ - აღნიშნა ღონისძიების მონაწილე მოსწავლემ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ადგილობრივი თვითმართველობა, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის დეპურატი – ენზელ მკოიანი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგებელი –გაგიკ კარსლიანი, გამგებლის მოადგილე –ალექსანდრე მიქელაძე, საკრებულოს თავმჯდომარე სუმბატ კიურელიანი, კულტურის სპორტის და ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდულ საქმეთა მთავარი სპეციალისტი ჟორა სნხჩიანი, ნინოწმინდის N3 სომხური საჯარო სკოლის დირექტორი – არმენუჰი კარსლიანი, ნინოწმინდის წმინდა ნინოს სახელობის ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის ადმინისტრაცია და აღსაზრდელები, ქალაქ ნინოწმინდის მოსახლეობა.

24 აპრილი სომეხი ერის გენოციდის ასი წლისთავია - ჰეშტიის N1 სკოლა

ფარგლებში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰეშტიას N1 საჯარო სკოლაში 1915 წელის 24 აპრილს დაღუპულ სომეხთა ერს პატივი მიაგეს და სომეხების დაღუპვის ასი წლისთავთან



დაკავშირებით გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიება გამართეს.

„1915–1918 წლებში ოსმალეთის იმპერიის დროს 1.5 მილიონი სომეხის მკვლელობას გენოციდად აღიარებას მოითხოვდნენ. 2015 წლის 15 აპრილს, ევროპარლამენტმა რეზოლუცია მიიღო, რომლითაც სომეხთა მასობრივ მკვლელობას გენოციდი უწოდა და თურქეთს ფაქტის აღიარებისკენ მოუწოდა, რასაც თურქეთი, რომელიც ოსმალეთის

იმპერიის სამართალმემკვიდრეა, გენოციდის ფაქტს დღემდე არ ეთანხმება.“ - მწუხარებით აღნიშნავს ღონისძიების ერთ-ერთი მონაწილე. "სომეხების გენოციდი - ეს ისტორიული ფაქტია. მისი კოლექტიური უარყოფა -ეს გაცილებით უფრო უარესია ვიდრე ამას ერთი ადამიანი, რომ უარყოფდეს. თურქეთი დიდი ქვეყანაა და თუკი ის გადახედავს თავის ისტორიას, ისევე როგორც სხვა დიდ ქვეყნები, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ იგი თავის თავს პატივს სცემს", - განაცხადა ჰეშტიის N1 სკოლის დირექტორმა ბერნიკ ჰოვსეფიანმა.

კომისიაში „ჩვენ ვირჩევთ ჩვენს მომავალს“



1 მაისს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა კონდურას სამოქალაქო განათლების პედაგოგის გაიანე სარკისიანისა ხელშეწყობით მე-9 კლასის მოსწავლეების სურვილიდან გამომდინარე განხორციელდა ვიზიტი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის N41 საოლქო საარჩევნო კომისიაში, მოსწავლეებს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სეირან კიურელიანი და საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ზარუჰი ესოიანი ესაუბრნენ. ღონისძიების მიზანი იყო, მოსწავლეებს გაეგოთ თუ რა დანიშნულება გააჩნია კომისიას არჩევნების დროს, მოსწავლეებმა ნახეს სპეციალური ფორმები, რომელსაც იყენებენ არჩევნების დროს და ყველა საინტერესო კითხვებზე

მიიღეს კომპეტენტური პირებისგან პასუხები.

ტრენინგი თემაზე: „ ძალადობა დანაშაულია“



ამა წლის 20 აპრილს სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ სასკოლო პროექტის კონკურსში დაფინანსებული შ.პ.ს ხერხემი, კერძო სკოლა „ მზექა“-ს მე -9 კლასის მოსწავლეებმა ჩაატარეს ტრენინგი თემაზე „ ძალადობა დანაშაულია“, რომელიც პროექტ“ რომ არ დავკარგოთ ბავშვები“-ს ფარგლებში განხორციელდა და მას მე-8 და მე-10 კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ.

ტრენინგის მიზანი მოსწავლეებისათვის მიეწოდებინათ ინფორმაცია ძალადობის შესახებ. ტრენინგი მოიცავდა სიტუაციურ ამოცანებს, რომელიც მოსწავლეებისაგან შემდგარ ჯგუფებს უნდა გადმოეცათ ქმედებით, შემდეგ კი თითოეულმა ჯგუფმა შექმნა პლაკატი, რაც ერთგვარი მესიჯი იყო სახელმწიფოს მიმართ, ასურეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რელიგიურ ნიადაგზე ბავშვთა მიმართ ძალადობაზე.

პატარა კონდურას სკოლის მოსწავლეების ვიზიტი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პოლიციის განყოფილებაში

20 აპრილს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პატარა კონდურას საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სამოქალაქო განათლების პედაგოგის გაიანე სარკისიანის ხელშეწყობით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პოლიციის განყოფილებას ესტუმრნენ. მოსწავლეებს



რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ- გამომძიებელმა პოლიციის კაპიტანი აიკანუმ დჟაკაცპანიანმა და უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელმა პოლიციის მაიორმა ვანო მშეციანმა უმასპინძლა.

„პოლიციაში ვიზიტი მე-9 კლასის მოსწავლეებთან ერთად ერთ-ერთ გაკვეთილზე დავგეგმეთ. ადამიანის უფლებებზე და სამართალდამცავ ორგანოებზე ვსაუბრობდი, მოსწავლეთა სურვილი იყო მოენახულებინათ მუნიციპალიტეტში არსებული პოლიციის განყოფილება“ - აღნიშნა

სამოქალაქო განათლების პედაგოგმა გაიანე სარკისიანმა. „ჩვენ გავიგეთ , თუ სად მდებარეობს პოლიციის განყოფილება, ვინ არის მთავარი პირი და სხვა თანამშრომლები. ვისწავლეთ თვითონ განყოფილებისა და პოლიციელების დანიშნულება. გავიცანით იქ მომუშავე თანამშრომლები, დავათვალიერეთ პოლიციის შენობა, აღჭურვილობა და ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხებიც მივიღეთ.“ - აღნიშნა ვიზიტის მონაწილე მოსწავლემ.

მოსწავლეთა ვიზიტის მიზანი იყო, გაცნობოდნენ სამართალდამცავ სტრუქტურას და თანამშრომლების მუშაობა შეესწავლათ.

„ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანები არ უნდა იღუპებოდნენ“

4 მაისს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰემტისას N1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგისა და ამავე სკოლის დირექტორის ბერნიკ ჰოვსეფიანის ხელშეწყობით მე-9 კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით ღონისძიება თემაზე: „ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანები არ უნდა იღუპებოდნენ“ ჩატარდა.



მოსწავლეებმა პირველ ეტაპზე წარმოდგინეს პრეზენტაციები, სადაც განიხილეს საქართველო 1989 წელს 9 აპრილი, სასომხეთი 1915 წელს 24 აპრილი სომხების გენოციდი და დღევანდელი ასურეთში მიმდინარე პროცესები. ამის შემდეგ, ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმები , რის შემდეგაც მოეწყო ისტორიული წყაროების შესახებ მსჯელობა. ღონისძიება გულისხმობდა ისტორიული ფაქტების მიმოხილვასა და დოკუმენტური ფილმით იმ კადრების გაცოცხლებას, რაც სახელმწიფოში მიმდინარე პროცესების გამო

უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან. აღნიშნულ ღონისძიებას მე-6 და მე-9 კლასის მოსწავლეები ესწრებოდნენ ასევე, დირექცია, მასწავლებლები, მშობლები.

„ჯავახეთის წყლები“



21 აპრილს სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის N4 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეთა ინიციატივითა და სამოქალაქო განათლების პედაგოგის ნინო ტაბატაძის ხელშეწყობით გარემოსდაცვითი ღონისძიება სახელწოდებით "ჯავახეთის წყლები" ჩატარდა, რომელსაც ადგილობრივი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ალას ზალალიანი, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები ესწრებოდნენ.

მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი იყო სლაიდი, დედამიწაზე წყლის არსებობა და ისაუბრეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლებზე, სიმრავლითაც გამოირჩევა მუნიციპალიტეტი: ფარავანი, ტაბაწყური, მადათაფა, ხანჩალის ტბა, სალამოს ტბა, მადათაფა, ბულაშენის ტბა და სხვა. არსებულ სიმდიდრეებთან ერთად პრობლემებზე მათ მოვლა და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან მუდმივ გასუფთავებაზე ისაუბრეს. „ნინოწმინდაში ბევრია მიწისქვეშა წყლები, რაც ჯავახეთისთვის დამახასიათებელია. დანაწევრებულია პატარა მდინარეებითა და წყაროებით. ამიტომ მნიშვნელოვანია გავუფრთხილდეთ საქართველოს უნიკალურ ბუნებას!“ - აღნიშნა ღონისძიების მონაწილე მოსწავლემ.

მოწვეულმა სტუმარმა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ალას ზალალიანმა აღნიშნა, რომ სიცოცხლე წყლის გარეშე შეუძლებელია, სწორედ ეს ფაქტი აძლევდა საფუძველს ჩვენს წინაპრებს, ელიარებინათ რომ წყალი უფრო ადრე გაჩნდა დედამიწაზე, ვიდრე ჩაისახა სიცოცხლე. ვიყოთ კანონმორჩილი, სახელმწიფო ზრუნავს ამ საკითხის მოსაგვარებლად და ჩვენც ხელი უნდა შევუწყოთ მას და გვახსოვდეს: "ყველა საქართველოში მცხოვრებნი ვალდებულია უზრუნველყოს წყლის რაციონალური და მდგრადი გამოყენება და დაცვა. არ დაუშვას მისი დაბინძურება და დაშრეტა.“ (საქართველოს კანონი წყლის შესახებ).



"რატომ გვჭირდება სწავლა და "საუკეთესო მეგობარი წიგნი "



9 მაისს ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის ინგლისურის პედაგოგის თამუნა ჩარკვიანისა და ისტორიის პედაგოგის თეონა ლომითაშვილის ხელშეწყობით მე-9 და მე-10 კლასელებს დავით ტურაშვილი სტუმრობდა, რომელმაც მინილექცია თემაზე: "რატომ გვჭირდება სწავლა და "საუკეთესო მეგობარი წიგნი " წაიკითხვა.

„ძალიან მიხარია, რომ პედაგოგების ხელშეწყობით ჩვენს სკოლაში ბატონ დავით ტურაშვილი გვესტუმრა, რომელმაც სწავლების წიგნიერებაზე, საკუთარ შემოქმედებაზე თავის წიგნებზე გვესაუბრა. - აღნიშნავს შეხვედრის მონაწილე, ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის მე 9 კლასელი საბა გვარამაძე.

„ვისაუბრე ზოგადად მწერლობაზე, წიგნის კითხვაზე და სწავლის მნიშვნელობაზე. მოსწავლეებს აინტერესებდათ, რატომ გადავწყვიტე გავმხდარიყავი შემოქმედი, საერთოდ, როგორ ვწერ. გავაცანი სამომავლო გეგმა, რომ „ ჯინსების თაობის“ მიხედვით ვაპირებთ ფილმის გადაღებას.“ - ამბობს მწერალი დავით ტურაშვილი.

„შეხვედრის მიზანი იყო მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება, როგორ გამოიყენონ საკუთარი განათლება პირადი წარმატებისათვის და აიმაღლონ მოქალაქეობრივი თვითმეგნების დონე. დავით ტურაშვილის სტუმრობა ტრადიციად იქცევა.

შეხვედრის ბოლოს ბატონმა დავით ტურაშვილმა საკუთარი წიგნები გადასცა საჩუქრად: „ტიბეტი არის შორს“, „ჯინსების თობა“, „ტყეების მეფე“, „დოდოს მოლოდინში“, „შავი კეტები“. აღნიშნული

წიგნები სკოლის ბიბლიოთეკაში დარჩება და ყველა სკოლის მოსწავლეს ექნება საშუალება გაეცნოს მის შემოქმედებას.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მეოთხე წლიური კონფერენცია-გამოფენა

16 მაისს სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის მეოთხე წლიური კონფერენცია-გამოფენა გაიმართა. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს



(USAID) კავკასიის მისიის დირექტორი, ბ-ნი სტივენ ჰეიკინი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ქ-ნი თამარ სანიკიძე და სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი, ქ-ნი მარინა უშვერიძე. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური, მოწვეული პედაგოგები და სხვა დაინტერესებული პირები.

ფორუმის მონაწილე, საქართველოს ყველა რეგიონის 400 პედაგოგი სამოქალაქო განათლების სფეროს სიახლეებსა და ინოვაციებს გაეცნო. მათ ასევე, მიიღეს ინფორმაცია მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესახებ. ფორუმზე დასახელდა სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგები, რეგიონის წლის საუკეთესო პედაგოგი ჯილდო მიიღო ახალქალაქის მუნიციპალიტეტის N3 საჯარო სკოლის პედაგოგმა ჟანა ხაჩატურიანმა, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელი რუსთავის სკოლის პედაგოგი შორენა ხიზაძეს კი წლის წარმატებული პედაგოგის ტიტული ერგო, ხოლო რეგიონის წლის კლუბის მეურვის ჯილდო, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელი სვირის საჯარო სკოლის პედაგოგმა ნუგზარ ლომიძემ.



ბიულეტენი შექმნილია სამოქალაქო განათლება „მომავლის თაობა“ ფარგლებში

ქ. ახალციხე, ახალციხის ახალქაზრდული ცენტრი, კოსტავას ქ. 79. ტელ: 0 (365) 22 08 77

Email: icyakhalttsikhe@yahoo.com ბლოგი: Akhalttsikheyouthcenter.wordpress.com